დანართი 1

ფორმალური მოთხოვნები რეფერატის მიმართ

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 25 გვერდზე ნაკლები, შრიფტი – Sylfaen, ტექსტის შრიფტის ზომა - 11, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14-12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ.

ბ) ნაშრომის თავფურცელის (იხილეთ ნიმუში - დანართი 1.1) შრიფტი - Sylfaen; ნაშრომის დასახელების შრიფტის ზომა - 14, გასწორება ცენტრში (Center), ზედა კიდიდან 2 ინტერვალის დაშორებით; აპლიკანტის სახელი-გვარის შრიფტის ზომა - 11 Bold, გასწორება მარჯვენა კიდესთან (Align Right), სათაურიდან - 5 ინტერვალის დაშორებით; სახელი-გვარიდან ტექსტამდე - 5 ინტერვალი, ტექსტის ზომა - 11, ორმხრივი გასწორებით (Justify); ტექსტიდან თარიღამდე - 4 ინტერვალი, თარიღის ზომა - 11, გასწორება მარჯვენა კიდესთან (Align Right); უნივერსიტეტის დასახელება ქვედა კიდიდან - 4 ინტერვალი, გასწორება ცენტრში (Center). გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ.

გ) აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით.

დ) ბიბლიოგრაფია წარმოდგენილ უნდა იქნას ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- გამოცემის წელი
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: შენგელია გ. 2003. *საქართველოს ისტორია.* თბილისი: განათლება.

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- წელი
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის ნომერი
- გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია,* 15 (21), 12-15.
შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია,* იანვარი, 12-15.

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნი ტ. ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები. ზოგადი განათლება. www . . (15.02.2005).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის . . . . *ევროპის ფორუმი* 3 (5). www . . . (15.06.2003).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება: ... ცვლილებების შესახებ . . . (639, 5.09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №115.

ე) ტექსტში, გამოყენებული ლიტერატურა, უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).

დანართი 1.1

რეფერატის სათაური

აპლიკანტის სახელი გვარი

რეფერატი წარდგენილია სამართლის სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის

20-- წლის რიცხვი თვე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი, 20--